

ჰერპეს ვირუსის მე-8 ტიპის (HHV-8) როლი ვასკულარული კაპოშის სარკომის დიაგნოსტიკაში აივ-დადებით და აივ-უარყოფით პირებში

მარიამი შაყარაშვილი

*თანაავტორები: პათანატომი - ექიმი მაია მჭედლიშვილი,
მოლეკულური ბიოლოგი- ნანა ცინაძე,
ასოც. პროფესორი ბ.მ.დ ნუნუ მიცკევიჩი.*

ელ. ფოსტა: mshaqarashvili50@gmail.com

ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.№13, თბილისი, -186, საქართველო

კაპოშის სარკომა (KS) არის ჰეტეროგენული ანგიოპროლიფერაციული სიმსივნე. აღწერილია ამ დაავადების სულ მცირე ოთხი ფორმა, მათ შორის აივ ინფექციასთან დაკავშირებული ფორმა ყველაზე აგრესიულია და შეიძლება მოიცავდეს ლორწოვან გარსებს ან ვისცერალურ ორგანოებს. KS ასოცირებულია ჰერპესვირუსის მე-8 ტიპთან (HHV-8/KSHV), რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიმსივნის განვითარებაში. ვირუსი აინფიცირებს ენდოთელურ უჯრედებს, იწვევს ანგიოგენეზს, უჯრედების პროლიფერაციასა და სიმსივნურ ტრანსფორმაციას. ეს პათოლოგია განსაკუთრებით ხშირია აივ-ინფიცირებულ პირებში, სადაც იმუნოსუპრესიის ფონზე ვირუსი აქტიურდება და ხდება დაავადების პროგრესირება, მიუხედავად ამისა, KS გხვდება აივ-უარყოფით პირებშიც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ HHV8-ის როლი და მისი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა სხვადასხვა პანციენტთა ჯგუფში შესაძლოა განსხვავებული იყოს.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის მე-8 ტიპის ჰერპეს (HHV8) და იმუნოდეფიციტური ვირუსების (HIV) კოინფექციისას სპეციფიური სადიაგნოსტიკო მარკერის კვლევა კაპოშის სარკომის შემთხვევებში. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში შეფასდა 32 პაციენტის ნიმუში, აქედან, კაპოშის სარკომის 12 და 20 დერმატოფიბრომისა და ვასკულარული ჰემანგიომის შემთხვევების კლინიკურ - პათომორფოლოგიური მახასიათებლები, რომელთაგან 5 იყო აივ-უარყოფითი პაციენტი და 7 აივ-დადებითი. ყველა შემთხვევის კვლევა ჩატარდა იმუნოჰისტოქიმიური მარკერების გამოყენებით: LANA, CD34, და CD31. განისაზღვრა LANA- ს ექსპრესიის სიხშირე და ინსტენსივობა ორივე ჯგუფში, რის საფუძველზეც განხორციელდა შედარებითი ანალიზი აივ სტატუსის მიხედვით. დიფერენციალური დიაგნოზის მიზნით შევისწავლეთ 20 პაციენტის ნიმუშები დერმატოფიბრომისა და ვასკულარული ჰემანგიომის დიაგნოზით, რომელთა ნაწილს გამოუვლინდა CD34-ისა და CD31-ის დადებითი ექსპრესია, ხოლო LANA ანტიგენი ყველა შემთხვევაში იყო უარყოფითი. იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგად დადგინდა რომ LANA ანტიგენი წარმოადგენს კაპოშის სარკომის სპეციფიკურ მარკერს, რომლის ექსპრესია მნიშვნელოვნად მაღალია აივ-დადებით პაციენტებში, აივ-უარყოფით პაციენტებთან შედარებით. LANA მარკერის გამოყენება CD31 და CD34 მარკერებთან ერთად ზრდის დიაგნოსტიკურ სიზუსტეს და იძლევა კაპოშის სარკომისა და სხვა ვასკულარული ნეოპლაზიური დაზიანებების დიფერენცირების შესაძლებლობას.